

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ. გარდაბანი

27 აგვისტო 2025 წელი 11 სთ. 30 წთ,

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა 2025 წლის 27 აგვისტოს. კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძე
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:

1. ლია მეტრეველი
2. მანია შამედოვა
3. ფლორა ასკაროვა
4. ზურაბი კორახაშვილი
5. მირზა მირზოევი
6. დავითი ებილაშვილი
7. ვახუშტი აბულაძე
8. კამრან ბაბაევი

არ ესწრებოდა:

9. აკიფ ისმაილოვი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასამტკიცებლად დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 22 ივლისის №807 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 13-20 ივნისს უნგრეთში (ქ. ბუდაპეშტი) გამართულ პირად გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, გურამ თუშიშვილმა (პ/ნ. 01017049210) +100 კგ. წონით კატეგორიაში - პირად ჩათვლაში დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი, ხოლო გუნდურ ჩათვლაში - პირველი საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია გიორგი შინჯიკაშვილი (პ/ნ. 12001007211).

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე განიხილა სპორტსმენის გურამ თუშიშვილის შესაძლო დაჯილდოება 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, ხოლო მწვრთნელის - გიორგი შინჯიკაშვილის შესაძლო დაჯილდოება 2 000 (ორი ათასი) ლარით - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების შესაბამისად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენის გურამ თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

კომისიამ დაადგინა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხი გავიდეს ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე:












თამარ ხაჩიძე

2025 წლის 27 აგვისტო

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე










დამსწრეთა ხელმოწერა

11. სთ 30 წთ.

1. თამარი ხაჩიძე 
2. ლია მეტრეველი 
3. მირზა მირზოევი 
4. კამრან ბაბაევი 
5. მათა შამედოვა 
6. დავითი ებილაშვილი 
7. ზურაბი კორახაშვილი 
8. აკიფ ისმაილოვი
9. ფლორა ასკაროვა 
10. ვახუშტი აბულაძე 

კენჭისყრა საკითხებზე

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

№	გვარი სახელი	მომხრე	წინააღმდეგი
1	თამარ ხაჩიძე		
2	ლია მეტრეველი		
3	მირზა მირზოევი		
4	კამრან ბაბაევი		
5	მაია შამედოვა		
6	დავითი ებილაშვილი		
7	ზურაბი კორახაშვილი		
8	აკიფ ისმაილოვი		
9	ფლორა ასკაროვა		
10	ვახუშტი აბულაძე	